ბოლო მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 16 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (მოსკოვი) 2:2 (2:2).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა (რეხვიაშვილი), ჭოხონელიძე, ასათიანი, ილიადი, სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი, მესხი (გ. ნოდია).

“ტორპედო”: სკოკოვი, იანეცი, პახომოვი, ჩუმაკოვი, ბაისი (სპირიდონოვი), შუსტიკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, მიხაილოვი, გერშკოვიჩი, სავჩენკო.

მსაჯი ვ. ბაღდასაროვი (ტაშკენტი).

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” შეხვედრათა ისტორია ყველამ კარგად იცის. როცა ეს გუნდები ერთმანეთს ეთამაშებიან საკავშირო პირველობისა თუ თასის მატჩში, მაყურებელს უეჭველად ელის ლამაზი თამაში, დიდი ფეხბურთი.

მაგრამ ეს მატჩი დასანან გამონაკლისს წარმოადგენდა. XXX საიუბილეო ჩემპიონატის ბოლო თამაში ჩვენს სტადიონზე ვერ გამოდგა ტრადიციის შესატყვისი. პირველი ტაიმი ასე თუ ისე საინტერესო იყო, მაგრამ შესვენების შემდეგ ბრძოლის სიმწვავემ იკლო და დარჩენილი 45 წუთის მანძილზე რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი მინდორზე არაფერი მომხდარა.

ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა გავაშელმა. გავიდა ცოტა ხანი და სტრელცოვმა გაიტანა საპასუხო გოლი - 1:1. წუთის შემდეგ გავაშელმა კვლავ წინ გაიყვანა “დინამო” - 2:1. ტაიმის დასასრულს გერშკოვიჩმა ახლო მანძილიდან გაიტანა მეორე საპასუხო ბურთი და ანგარიში 2:2 ბოლომდე შემორჩა ტაბლოს.

გავაშელს შეეძლო კიდევ უფრო გაეზარდა თავისი პირადი ანგარიში, მაგრამ მან სუსტად შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა და სკოკოვმა იოლად აიღო ბურთი.

“ლელო”, 19 ნოემბერი, 1968 წ.